



# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№385 (444) 1-8 ნოემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი  
სირცხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი შენიძა

## ჰაელაზ ჭიკაშვილი: მოსახლეობის პოლიტიკური განათლება მოიკოჭლებს

88.3

„ცოლები, საყვარლები,  
მებოძრების  
საყვარლები სწორედ  
მათ ჰყავდათ  
დასაქმებულნი“ – დანი  
ცაბურის პასუხი  
ირაკლი აბუსაძეს

88.3



88.5

### ცერცვაჰე, ნე დავერიანეუ? – გკითხა აფხაზეა მებოძარმა, როდესაც ჩემს გიჭებთან ერთად სანგარუი მუკატიჰებოდა...

### ვინ არის ყოფილი დავუბატი, ვისთანაც 2003 წლის ჩეკოლუსიის ცნობილი ვარდი ინახება – მიხვდი, რომ ეს ყველაფერი გათამაშებული იყო

88.4



### მარტვილში დაჭურული ღვინო საფრანგეთის, ავსტრალიისა და ლონდონის გაზარზე

88.6



### ერთადერთი ოქროს ბურთის ფულბოელი მეგარე, ლევ იაშინი 90 წლის გახდებოდა...

88.9



### ისტორიული ფაქტი, რომელსაც საქართველო ნოემბრისთვის ელის – ქართული კინოარქივის ნაწილი შეეყანას დაუბრუნდება

88.9

### 8 ოქტომბრის არჩევნებიდან ორი კვირის თავზე ეროვნული უშიშროების საბჭო სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს!

88.11

### იზა თამაზაშვილი: ჰეროკრატიიდან – ავტოკრატიამდე

88.7







# სარსება, ნე ღავერიაუ? — აკითხა ჩაბა აფხაზმა მეგობარმა, როდესაც ჩემს ბიჭებთან ერთად სანგარში მუშაობდა...

„...იმ წუთში სამართოდ არ მაინტერესებდა არავითარი პოლიტიკა — მეგობართან მივდიოდი, ვისთან ერთადაც ორი წელი ჭირსა და ლხინს ვიზიარებდი. როცა ჩემი აფხაზი მეგობრის მიპატიჟება ქართველ ბიჭებს გადავეცი, შევოყმანდნენ; ზოგმა პირდაპირ მითხრა, — ყველანი რომ ჩაგვოცონო?! — მე მივიღიარე და ვინც მენდობა, გამომყვეს-მეთქი. კორკორასგან ღალატი გამორიცხული იყო. ვიმეორებ — აფხაზი თუ თავისიანად მივიღებს, თავსაც გაწირავს და არ დაუშვებს, მის სტუმარს რამე დაემართოს. ბიჭების პასუხზე უხერხულობა იგრძნო და ჩამქობა: „ცერცვაძე, ნე დავერიაუშ?“ — უპასუხოდ გავეყვი. ზაზაში ისინიც დაგვეწვივნენ, ვინც თავიდან უარს ამბობდა. აფხაზების სანგარში ერთად ჩავედით.

შენგელიას თხოვნით, აფხაზეთში ჩვენი განყოფილებიდან 8 კაცი წავედით. გარკვეული ობიექტების დაცვა და სატრანსპორტო გადაზიდვების უზრუნველყოფა გვევალებოდა, თუმცა სინამდვილეში რეალურ ომში ჩაბმამ მოგვიწია... აფხაზეთის ბრძოლის ბოლო დღეები იდგა. გუმიისთასთან პოხიციაზე ვიმყოფებოდით. იქ რომ ჩავედით, უძძიმესი სიტუაცია დაგვხვდა. მეომრები გაძლესაზე იყვნენ. აღარც ტყვია-წამალი ჰქონდათ და არც საკვები. ბიჭები პანიკაში იყვნენ. იმდენად ვიყავით შეშინებული, რომ ერთ ღამეს სანგართან ძაღლს გადაურბენია (მაშინ უცებ ვერ მივხვდით, თუ რა იყო), დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ერთ-ერთ მეომარს კი, ავტომატის ჯერი მიუშვია. ამას აფხაზური მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა... დამე სამსამი კაცი ვმორიგობოდით, ერთმანეთს ვცვლიდით. ერთხელაც, დამით, ძალიან მოგვინდა სივარეტი. სანგრიდან თავი ამოვყავი, იქაურობა შევათვალე, რათა დავრწმუნებულიყავი — სივარეტის საშოვნელად გადაადგილებას თუ შევძლებდი. ჩვენს სიახლოვეს, ქუთაისის სამმართველოს ბიჭები იყვნენ განლაგებული და მათთან წასვლა დავაპირე. უეცრად სიბნელეში ადამიანის სილუეტს მოვკარი თვალი. მივხედი, იმანაც დამინახა და ინსტინქტურად დაიყვირა,

მის გამო თავს გაწირავდა. იმ წუთას საერთოდ არ მაინტერესებდა არავითარი პოლიტიკა — იმ მეგობართან მივდიოდი, ვისთან ერთადაც ორი წელი ჭირსა და ლხინს ვიზიარებდი. როცა ჩემი აფხაზი მეგობრის მიპატიჟება ქართველ ბიჭებს გადავეცი, შევოყმანდნენ; ზოგმა პირდაპირ მითხრა, — ყველანი რომ ჩაგვოცონო?! — მე მივიღიარე და ვინც მენდობა, გამომყვეს-მეთქი. კორკორასგან ღალატი გამორიცხული იყო. ვიმეორებ — აფხაზი თუ თავისიანად მივიღებს, თავსაც გაწირავს და არ დაუშვებს, მის სტუმარს რამე დაემართოს. ბიჭების პასუხზე უხერხულობა იგრძნო და ჩამქობა: „ცერცვაძე, ნე დავერიაუშ?“ — უპასუხოდ გავეყვი. ზაზაში ისინიც დაგვეწვივნენ, ვინც თავიდან უარს ამბობდა. აფხაზების სანგარში ერთად ჩავედით.

— ასე იხსენებს ქართველი გიორგი ცერცვაძე 90-იანი წლების ომის დროს აფხაზ მეგობართან ფრონტის ხაზზე შემთხვევით შეხვედრას, რომელიც არც პირველი იყო და არც უკანასკნელი... ამბები, რომელიც ქართულ-აფხაზური საომარი მოქმედებების დროს ხდებოდა, დღემდე ლეგენდებით ვრცელდება. ამის ერთი მაგალითია გიორგი ცერცვაძე, რომელიც საბჭოთა ჯარში გაცნობილ-დამეგობრებულ აფხაზ ილო ლოგუას გუმიისთასთან ბრძოლების დროს შემთხვევით შეხვდა. მათ უცებ გადააფიქვდათ, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს რომ იდგნენ.

— რა ხდებოდა აფხაზურ სანგარში? — იგივე, რაც ჩვენთან... სხვადასხვა ასაკის მეგრძოლები იყვნენ, ჩემი თანატოლებიც და შუახნის კაცებიც. ტყვია-წამალი მათაც ძალიან უჭირდათ, მაგრამ საჭმელი ჩვენზე უკეთესი ჰქონდათ; ადგილობრივები იყვნენ და ეტყობა, მოსახლეობაც ეხმარებოდა. შეშინებული ჩანდნენ. თავიდან ყველანი ვეუბნით, მერე კი ნელ-ნელა ერთმანეთს გავეუშინაურდით. დაძაბულობა მოიხსნა და ქეიფი დავიწყეთ. სადღეგრძელოებიც ვთქვით, — პოლიტიკოსების გამო, რატომ ვხოცავთ ერთმანეთს... — სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები იყვნენ თუ მოხალისეები?

— დაახლოებით 30-კაციანი მოხალისეთა ჯგუფი იყო. დილის 4 საათისთვის ავიშალეთ. შეგვეშინდა, სხვა აფხაზური დაჯგუფება არ წამოგვდგომოდა თავს; ყველას ერთად ჩაგვცხრილადნენ... მასპინძლებმა თავი დაიხდევინეს და რამდენიმე კაცმა ჩვენს პოხიციაზე მიგვაცილა. შემდეგ კი, სანამ თვალს მივფარე, მე ვიდექი გუშაგად, — ვინმემ არ გაისროლოს-მეთქი... როგორც კი გათენდა, ბრძოლა განახლდა. იქ უკვე ვერავინ გაარჩევდა, ლოგუა მესროდა თუ სხვა...

**გიორგი ცერცვაძე:** საბჭოთა ჯარში სამსახურმა მომიწია. ახალწვეულები საქართველოდან გერმანიაში (მაშინდელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. — ავტ.) გაგვგზავნეს. ბევრი ქალაქი შევიარეთ და ბოლოს ქალაქი შვერინში ჩავვიყვანეს. ჩვენი ძირითადი ბაზა იქ იყო განთავსებული. ნაწილში 3.500 ჯარისკაცი იყო, მათ შორის — 350 ქართველი და რამდენიმე აფხაზი ვიყავით. ცნობილია, რომ საბჭოთა ჯარში ე.წ. „დედოფაშინა“, ჩხუბი და გარჩევები ჩვეულებრივი რამ იყო. კვირაში ერთხელ მაინც დიდი „ჯახი“ ატყდებოდა ხოლმე და აფხაზები ყოველთვის ქართველების მხარეს იყვნენ. იქ დავუმეგობრდი სოხუმელ აფხაზს, ილო ლოგუას. ორი წლის განმავლობაში ერთმანეთს ჭირსა და ლხინს ვუზიარებდით. მეტსახელად, „კორკორა“ ერქვა (ქართულად ამაყს ნიშნავს) და ჩვენც ასე ვეძახოდით. შეგებულებაში რომ გამიშვეს, ილომ მითხრა, — სოხუმში ჩემი ოჯახი მონახულე და მათთან ფოტოალბომი გამომატანა. რამდენჯერმე ვესტუმრე მის ოჯახს. ძალიან თბილად მიმიღეს...

— რა უპასუხეთ? — რა უნდა მეთქვა?! დავთანხმდი... კარგად ვიცოდი, რისი გამკეთებელი იყო: აფხაზი ადამიანს ძმად და მეგობრად თუ მიიღებდა, — რა უპასუხეთ? — რა უნდა მეთქვა?! დავთანხმდი... კარგად ვიცოდი, რისი გამკეთებელი იყო: აფხაზი ადამიანს ძმად და მეგობრად თუ მიიღებდა,

— რა უპასუხეთ? — რა უნდა მეთქვა?! დავთანხმდი... კარგად ვიცოდი, რისი გამკეთებელი იყო: აფხაზი ადამიანს ძმად და მეგობრად თუ მიიღებდა, — რა უპასუხეთ? — რა უნდა მეთქვა?! დავთანხმდი... კარგად ვიცოდი, რისი გამკეთებელი იყო: აფხაზი ადამიანს ძმად და მეგობრად თუ მიიღებდა,

სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ, სამხედრო სამსახურში სამოქალაქო პირის სტატუსით გავაგრძელე საქმიანობა. იმერეთის რეგიონული სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში დავიწყე მუშაობა.

— აფხაზეთის ომში როგორ აღმოჩნდით? — მანამდე, ცხინვალის კონფლიქტის დროს, იქ რამდენჯერმე წასვლამ მომიწია; ლოკალურ ბრძოლებში, პოლიციის ხაზით ემონაწილეობდით. სამანაბლოს ომი დასრულებული იყო, მაგრამ აფხაზეთში უძძიმესი დღეები იდგა. გავრცელებული ინფორმაციით, მეომრები ყველაფრის დეფიციტს განიცდიდნენ — იარაღიც აკლდათ და საბრძოლო ტექნიკაც. სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსის, მერაბ

ლალი პაპასპირი

## ჭოქიძის კუთხე

### ქამთასროლას თავი ანდე

ქამთასროლას თავი ანდე, (ჩემი სისხლი დალიონო) რა იქნება, მიმწუხრამდე ერთხელ გაიალიონო. ასწლეულებს მიაძახებს, კოლხაგ, შენი ოქროს ჯიდა. ვინ ეყუდების მოამაგედ, კოლხთა ტომს და კოლხთა ჯიდაგს. აღარც მყავდი ნანახი და სო ოდინე სქანი კვალი, გუბაზ მეფის ფაფახი და მოღუდუნუ ხობისწყალი. გმირთა გამო, ცოტნეს გამო ხომ გადურჩი ამდენ ვარამს... სქან დაჩხირი მონტუ ჰამო, სქან კირიბეფ ეკოლგარანს. სული შენს ბედს ვეღარ ჰგულობს, ართმას ვარა ქოთქვი გურით, მა დუბდვიშო საქორთუოს ჩხენჭიერი ოფაზური. ერთხელ მაინც აგვიმღერე შენი ტკბილი მაფშალია, ბორჯი კვარჩხო მიკოროთელე, ჩქიმი სქვამი მახარია. ვადინუა ჯვეში ბუდე, აღარ კმარა, ნუთუ, ჭირი? კიდევ ერთხელ მისაღებუნე, ნანაშ ნინა ქომიბირი. მოთქრიალე წვიმა გაწვიმს, ნარდი გიღუ წანაშ მეტი, არ დაკარგავს ოქროს საწმისს, სქანი მაფა აიეტი. ქამთასროლას თავი ანდე, (ჩემი სისხლი დალიონო) რა იქნება, მიმწუხრამდე ერთხელ გაიალიონო. გიორგი ხულორდა

**გივიჩიაეუ საქორთუო**  
ნიკო ლორთქიფანიძის მოტივზე  
საქორთუოქ გეგმიინუ, სამარგალოქ გეფარუ, ტყურა ვაუხოლეუსუნ, ისტორიაქ ვეჭარუ. ოდაბადე გოდილიტეს, ნანაშ ნინაქ გეფარუ, სოდე ლაიტი ვთასითუნი, ძიგირონაქ გეფალუ. ქომონჯალა გომილანდეს, ოსურალაქ გეფარუ, ყორფილი ყორფილო, თიქით შხვაშო გეწყარუ. ჯიმალაშა გაშყურინე, ხე დო ხე შკას გეფარუ. მიდგაქ ირფელი გაფარუნი, ვამიჩქ, მუჭო გეხარუ. გური მაჭუ ვრავადანქუნ — ამდლა ირფელქ გეფარუ. ილია კუხალაშვილი













# ისტორიული ფაქტი, რომელსაც საქართველო ნოემბრისთვის ელის ქართული კინოარქივის ნაწილი ქვეყანას დაუბრუნდება



საბჭოთა ეპოქაში, როცა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, ბუნებრივია, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან "იკვებებოდა" კულტურის სფეროც. ამიტომ, მოკავშირე რესპუბლიკების კინოსტუდიების მიერ შექმნილი კინონაწარმოებების დედნები მთავარი დამფინანსებლის – კულტურის სამინისტროს საკავშირო კინოარქივში იგზავნებოდა, სადაც საიმედოდ იყო შენახული. სწორედ ამან გადაარჩინა საბოლოოდ გაქრობას ქართული კინოკულტურის ფასდაუდებელი განძები, რადგან როცა საერთო არეულობის ქაშა ვიდაცამ შეგნებულად წაუკიდა ცეცხლი კინოსტუდია "ქართული ფილმის" ფირსაცავს, იქ უამრავი უნიკალური ქართული კინოსურათის ფირი განადგურდა. ახლა კი ეს ყველაფერი მალე აღდგება, რასაც გულთადად ვულოცავთ სრულიად საქართველოს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგორი კარასინის შეხვედრაზე მიღწეული შე-

თანხმების შესაბამისად, მიმდინარე წლის ნოემბრის თვის ბოლომდე, ქართული კინოარქივის ნეგატივების პირველ ნაწილს საქართველოში რუსეთიდან ჩამოიტანენ. საქართველოს კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ფილმების პირველი ნაწილი უკვე მზად არის ჩამოსატანად, მომდევნო ნაწილის გადმოცემის დრო კი, ჯერჯერობით, განსაზღვრული არ არის.

უწყების ინფორმაციით, სრული კინოარქივის გადმოტანას, მინიმუმ, 6 წელი მინიმუმ დასჭირდება.

**“ეს ჩვენთვის იქნება ნიმუში, როგორც იქნება დანარჩენი მემკვიდრეობა. პირველ ეტაპზე რაც იყო გაწერილი, საუბარია მიხეილ ჭიაურელის, ნუცა დოღობერიძის და ლეო ესაკიას 4 ფილმზე, ეს ჩამოვა ნოემბერში. შემდეგ კი, სხვადასხვა რაოდენობის ფილმები ჩამოვა სხვადასხვა ეტაპზე”,** – აცხადებს კულტურის სამინისტროს კინოკომპარტულების ხელმძღვანელი ნანა დოლიძე.

კულტურის სამინისტროში რუსეთიდან ქართული კინოარქივის გადმოტანის ფაქტს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად აფასებენ და მთავრობის როლზე საუბრობენ.

**“ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. ვფიქრობ, ეს იმდენად ღირებული და მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საუკუნეში ერთხელ შეიძლება მოხდეს. რომ არა რუსეთის სახელმწიფოს კეთილი ნება, რაიმე კერძო ინიციატივით ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. გარკვეულ პერიოდებში იყო ამაზე მუშაობა, თუმცა მხოლოდ 2014 წლიდან გახდა შესაძლებელი რეალურად ამ პროექტის დაწყება. რომ არა რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა, ნამდვილად არ განხორ-**

**ცივდებოდა ეს პროექტი”,** – აცხადებს ნანა დოლიძე.

ქართული ფილმების არქივის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების პროცესის დაწყების შესახებ, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

ცნობილი ქართველი მსახიობი და კინორეჟისორი ბაადურ ჭყელიძე მოსკოვიდან ქართული ფილმების არქივის გადმოტანის პროექტს უმნიშვნელოვანესს უწოდებს და თბილისში ახალი ფირსაცავის აშენების აუცილებლობაზე საუბრობს. წულადის განცხადებით, საჭიროა აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები, რათა ყველაფერი პროფესიონალურ დონეზე გაკეთდეს.

**“თვითონ პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბური, აუცილებელია, რომ გაკეთდეს სპეციალური საცავი არა ერთი, არამედ ორი. ამ ფირებს მოვლავატრნობა სჭირდება, ამის გარეშე იფიქრა, რომ ჩამოიტანო ბრილიანტები და სადღაც კუთხეში მიყარო. სამწუხაროდ, ყოფილ ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებდა ეს საკითხი”,** – განაცხადა ბაადურ ჭყელიძემ.

ფირსაცავის აშენების აუცილებლობაზე საუბრობს აგრეთვე კინოსტუდია “ქართული ფილმის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ლითანიშვილიც.

**“ამ ფილმების ნეგატივები ინახებოდა მისკოვში სპეციალურ საცავში და ინახება დღესაც, ახლა კეთდება ნეგატივების ასლები და ისინი ჩამოვა ჩვენთან და გაკეთდება ციფრული ვერსიები. რაც შეეხება პროექტს, პროექტი არის უმ-**

**ნიშვნელოვანი, აუცილებელია შესაბამისი სტანდარტების, გამართული ფირსაცავის აშენება”,** – განაცხადა ლითანიშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთთან საქართველოსთვის ქართული ფილმების ორიგინალი ვერსიების დაბრუნების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების შედეგად, უკვე გადაწყდა, რომ საქართველოს კინოფონდს 700-ზე მეტი ფილმ-ორიგინალი დაუბრუნდება.

რაც შეეხება აბაშიძე-კარასინის შეხვედრის სხვა სიკეთებს, ბატონმა ზურაბ აბაშიძემ დაადასტურა, რომ ქართულმა მხარემ დაასრულა მუშაობა 2011 წელს “საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაზო აღმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ” შეთანხმებით გათვალისწინებულ დოკუმენტებზე და ამჟამად ქართული მხარე რუსეთის მხარის კონკრეტულ ინფორმაციას ელოდება. შეხვედრისას ასევე განიხილეს პუშკინის რეპრეზენტაცია – კერძოდ, საქართველოს იმ მოქალაქეებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში, ჯაშუშობის ბრალდებით, სასჯელს იხდიან. აღინიშნა, რომ განვიღო პერიოდში საკუთარ ოჯახს საქართველოს 7 მოქალაქე დაუბრუნდა. რუსული მხარის განცხადებით, ასევე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის შემდგომი გამარტივების მიზნით.

ასე რომ, ორ ისტორიულად მგობრულ სახელმწიფოს შორის “ნაციონალური მოძრაობის” მოღალატეობრივი საქმიანობის შედეგად გაჩენილმა პოლიტიკურმა აისბერგმა ნელ-ნელა დაიწყო ღვთობა.

## ერთადერთი ოქროს ბურთის მფლობელი მებარე, ლევ იაშინი 90 წლის გახდებოდა...

დიდი რუსი ფეხბურთელი ლევ იაშინი დღეს 90 წლის გახდებოდა. იგი 1929 წლის 22 ოქტომბერს მოსკოვში, ბოგოროდსკის რაიონში დაიბადა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 12 წლის ასაკში, ოჯახთან ერთად ევაკუირებულ იქნა ულიანოვსკში, სადაც 1943 წლის გაზაფხულზე ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მოსკოვში 1944 წელს დაბრუნდა და ქარხანაში გაწავლიდა მუშაობა, მთელ თავისუფალ დროს კი საყვარელ თამაშს უთმობდა: ტუშინის ნაკრებ გუნდში მუშაობდა.

1949 წელს ლევ იაშინი მოსკოვის “დინამოს” ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა, მალე კი ალექსეი ხომიჩის შემცველი მუშაობა, ის კარიერის დასრულებამდე ამ კლუბში გამოდიოდა.

მოსკოვის “დინამოს” ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრება რთული იყო. გუნდის ძირითად მუშაობა ცნობილი ალექსეი ხომიჩი ითვლებოდა, რომელსაც გულშემატკვრებმა მეტსახელად “ვეფხვი” შეარქვეს. ლევ იაშინი გუნდის ძირითადი მუშაობა 1953 წელს გახდა.

კლუბთან ერთად ლევ იაშინი 5-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1954, 1955, 1957, 1959, 1963), ხოლო 3-ჯერ – ქვეყნის თასის მფლობელი (1953, 1967, 1970).

1954 წლიდან ლევ იაშინი საბჭოთა კავშირის ნაკრების მუშაობა გახდა. მის შემადგენლობაში სულ 78-ჯერ ითამაშა. ნაკრებთან ერთად მოიგო 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშები და 1960 წლის ევროპის ჩემპიონატი.

მთელ მსოფლიოში ლევს შერქმეული ჰქონდა მეტსახელები: “შავი პანტერა” – შავი სათამაშო ფორმისა და აკრობატული ნახტომებისათვის; ასევე “შავი ობობა” და “შავი რვაფეხა” – გრძელი ხელების გამო.

1963 წელს ჟურნალ “France Foot-

ball”-სგან მიიღო “ოქროს ბურთი”. ის დღემდე ერთადერთი მუშაობა, რომელსაც ეს პატივი ხვდა წილად.

დიდი პოლანდიელი ფეხბურთელის, “მფრინავი პოლანდიელი” სახელდებული ითბან კრუიფის ახრით ლევ იაშინი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მუშაობა გახლდათ.

1971 წლის 27 მაისს, მოსკოვის “ლუფინების” სტადიონზე შედგა ლევ იაშინის გამოსამშვიდობებელი მატჩი, რომელსაც 103.000 მაყურებელი დაესწრო. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოება “დინამოს” ნაკრები გუნდი (მოსკოვის, კიევისა და თბილისის წარმომადგენლები) და მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრები, რომლის რიგებში ითამაშეს ეუსებიომ, ბობი ჩარლტონმა, გერდ მიულერმა და სხვებმა. მოედნის დეტოვებისა და ღვემა თავისი ხელთათმანები სიმბოლურად გადასცა “დინამოს” 23 წლის მუშაობა, ვლადიმერ პილგუის. მატჩი ფრედ, 2-2 დასრულდა.

ლევ იაშინი 1990 წლის 20 მარტს, სიღარბეში გარდაიცვალა, რადგან ქვეყნისათვის გარდამავალ მძიმე ჟამს დაავადებული სპორტსმენისათვის ვერაინ მოიცავდა. არა და, ნორმალურ ქვეყანაში მისი დარი სპორტსმენი მილიარდერი თუ არა, მულტიმილიონერი მაინც იქნებოდა.



## როგორ მოახერხეს კოკუი მსხოვრება ქალბაა ფინანსური დამოუკიდებლობა

**ვაბრძელები წერილების გეგმვას ციკლი-დან “თამაზა მზრუნველი ადამიანები”**

– როცა სახლისთვის, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთება შეგვიძლია, რატომ არ უნდა ვაკეთოთ?! – ამბობენ აფხაზეთის მოსახლეობა ზუგდიდის სოფელ კოკუი მცხოვრები ქალები – ირმა ხუბუა და ლამპირა მალიჩავა. ისინი ერთ-ერთი მსოფლიო პირველი არიან, ვინც ორი ოჯახის გაერთიანებით კოოპერატივი შექმნეს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ ზაფხულში კოოპერატივის 5 მეწველი ძროხა შეუძინა. ირმა ამბობს, რომ ძროხებს ქალები წველიან, ხოლო პირუტყვის მსოფლაპტრონობა ქმრებმა იკისრეს. კოოპერატივი ყოველდღიურად 20 ლიტრამდე რძეს მოიპოვებს. მიღებულ პროდუქტს კი, ყველის სახით, იშვიათად მაწონს, სოფლის მალაზიაში ყიდიან.

ლამპირა მალიჩავა, რომელიც კოოპერატივში ფინანსური მენეჯერის პოზიციასაც ითავებს, ამბობს, რომ ხშირად ესწრებიან სხვადასხვა შინაარსის ტრენინგებს, სადაც კოოპერატივის მართვას სწავლობენ, რაც თავიდან, მისივე სიტყვებით, სოფლად მცხოვრებ ქალებს წარმოუდგენდად მიანდდა.

კოოპერატივის დირექტორი ირმა ხუბუა იხსენებს, თუ როგორი წარმოდგენილი იყო მათთვის სახლიდან გასვლა.

**„მას სოფს პირველად, დაახლოებით ხუთი წლის წინ ზაფხულში თხილს ვაგროვებდით, მოვიდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ტასოს“ წარმომადგენელი და გეთხოვა რომ შეხვედრაზე წავსულიყავით. ძალიან გაბრაზდა ჩემი მეუღლე, რას შეუწინა ახლა ამ ქალებს, ვინ არის, რა უნდაო – ამბობდა. ჩვენც არ ვაპირებდით წასვლას, მაგრამ იმდენ ხანს გველაპარაკა ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომ შეგვრცხვა და წავიდით.**

ეს იყო ჩვენი პირველი აქტივობა, მას შემდეგ არ გაჩვენებულვართ. სულ ვესწრებით სხვადასხვა არასამთავრობო მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს, ტრენინგებს. ჩვენი მეუღლეებიც რომ ხელავენ, სასარგებლო ინფორმაცია მოგვაქვს, უკვე ხელს გვიწყობენ“, – უთხრა „ლაივპრესს“ ირმა.

ლამპირა და ირმა ფერმის გაფართოვებას გეგმავენ. ნაწარმის გაყიდვას კი, როგორც საქართველოს ბაზარში, ისე საზღვარგარეთაც აპირებენ.

**„ერთი წლის შემდეგ გვეყოლება ნამატი, ფურ საქონელს რეალიზაციაში არ გავუშვებთ, ხარს გავყიდით და დამატებითი შემოსავალი გვექნება. ასე, ნელ-ნელა გაფართოვდებით. თუ მოვარგოვთ 150 მეწველი ძროხა, მაშინ კოოპერატივების განვითარების სააგენტო უსასყიდლოდ გვაძლევს ფერმისთვის საჭირო 90 ათასი დოლარის ღირებულების აპარატურას. ამის თაობაზე, ჩვენ მოლაპარაკებები უკვე გვაქვს სხვა კოოპერატივებთან და შესაძლოა გავერთიანდეთ. ვნახოთ, მიგვანია, რომ ამის გაკეთება რეალურია და შესაძლებელია, რომ ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთაც გავიტანოთ“,** – ამბობს ლამპირა მალიჩავა.

წარმატება ვუსურვოთ კოკელ კოოპერატორებს!

**ნანა ხუბუა**



# მაგნოლიები აბაბუს ჰყვებიან

ჩვენი გაზეთის ამასწინანდელ ნომერში გამოქვეყნებულ ნაწყვეტი დრამატურგ ოთარ პერტახიას ნაწარმოებიდან „მაგნოლიები აბაბუს ჰყვებიან“, რომელიც მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა. ისინი რეკავდნენ რედაქციაში და გვთხოვდნენ ნაწარმოების სრული ვერსიის გამოქვეყნებას. გასრულებით მათ თხოვნას.

მოქმედი პირნი:

მოსუცი კაცი  
პატარა ბიჭუნა

- ბაბუ, თბილისი დიდი ქალაქია?
- დიდი ქალაქია, კი.
- ყველაზე დიდი ქალაქი მაინც რომელია?
- მიუღს მსოფლიოში?
- ჰო.

- საერთოდ, ყველაზე დიდი ქალაქები დიდ ქვეყნებშია.
- მერე, დიდი ქვეყანა რომელია?
- ის ქვეყანა, სადაც ძალიან ბევრი ხალხი ცხოვრობს.
- მაინც?
- მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი...
- კიდევ?
- კიდევ ამერიკა და რუსეთი.
- თბილისი მე ძალიან მიყვარს. რა მოხდა მერე, თუ ყველაზე დიდი ქალაქი არ არის?!

- რა მოხდა და არც არაფერი.

**პაუზა**

- ბაბუ, მითხარი, მე ხომ თბილისელი ვარ?
- შენ თბილისში დაიბადე.
- შენ სად დაიბადე?
- მე... სოსუმში.
- დედიკო და მამიკოც?
- კი, დედიკო და მამიკოც.

**პაუზა**

- სოსუმში სად არის, ბაბუ?
- დედამიწაზე უამრავი ქალაქია, ძალიან ბევრი ქალაქი... მათ შორის არის ერთი პატარა ქალაქი, იმას სოსუმში ჰქვია და იგი ჩვენი ქალაქია.
- მართლა ჩვენია?
- ჰო.
- რატომ არის ჩვენი?
- იმიტომ, რომ... ჩვენ იქ დიდი სახლი გვაქვს, ჩვენი სახლი.
- მეტი კიდევ რა გვაქვს?
- კოხბა ეზო, ცივი წყარო და რკინის ჭიშკარი.
- ვერაფერს რო ვერ შემოვა ისეთი?
- სტუმარი შემოვა, ბაბუ, ჭიშკარს გააღებს და შემოვა.
- ქურდი არ შემოვა?
- ქურდი არა, ვერ გაბედავს.
- რატომ, დიდი ძაღლიც გვაქვს?
- კი, დიდი ძაღლი გვაქვს, ქურდს არ შემოუშვებს.

- ე, ჩვენს ძაღლს რა ჰქვია?
- რა ჰქვია და ჯეკა.
- ჯეკა! (იცინის) ბაბუ, იცი, ძალიან მინდა შევადგო ლეკვი, ვგოჟლები ისე მიყვარს. ხომ მიყვინ?
- გიყვინ, აბა, არ გიყვინ? აუცილებლად გიყვინ.

**პაუზა**

- ბაბუ, მამიკოს რა დაემართა?
- ძველმა ნატყვიარმა შეაწუხა... არაფერია, გაუვლის.
- საავადმყოფოდან მაღე გამოუშვებენ?
- კი, მაღე გამოუშვებენ.
- მე და შენ მამიკო როდის ვნახოთ?
- ხვალ, გენაცვალე, ხვალ ვნახოთ.
- დედიკომ მითხრა ფერად ფანქრებს მოგიტანო.
- მაშინ მოგიტანს.
- გახსოვს, მამიკომ ერთხელ გასაფრადებელი ნახატები რო მომიტანა, იქ ბაყაყს თავზე გვირგვინი ედგა... (იცინის) აუ, რა სასაცილო იყო!
- რას ვიზამთ, გვირგვინს, სამწუხაროდ, ბაყაყებიც იღვამენ.
- ბაბუ, ფული რო გექნება, ბურთს ხო მიყვინ?
- კი, ბატონო, გიყვინ.
- ბოტასებს?
- მაგასაც გიყვინ.
- დედიკოს როგორ გაუხარდება! რომ მქონდა ის ბოტასები, სულ დაიხა.

- ჰოდა, ახალს ვიყიდით.
- ფეხბურთზე როდის შემეყვანო?
- ცოტაც გვაცალე და მაღე.
- გახარებული ბიჭუნა ბაბუს მხარზე ხელს გადახვევს.
- კიდევ რა არის სოსუმში? აუ, მიდი რა, მითხარი!
- ბაბუს თბილად ელიძება და შეილიშვილს კალთაში ჩაისვამს.

- ცა არის, ბაბუ, იმოდენა, საითაც არ გაიხედავ, ცქერით ვეღარ გაძღები. ზღვა არის ვეებერთელა, ღრმა და საოცარი. ზაფხული იცის ისეთი, გულს რომ სიხარულით ავიკვებს. ბევრი, ბევრი ადამიანი ჩამოდის ჩვენთან ზაფხულობით.
- რატომ?
- სოსუმში ზღვისპირა ქალაქია და ადამიანები იქ დასასვენებლად ჩადიან.
- ზღვაში რომ იცურაონ?
- ჰო, რომ იცურაონ, დაისვენონ და სიცოცხლე გაიხანგრძლივონ.
- უხარიათ მერე?
- როგორ არა! გაოცებული ადამიანები ყველაფერს ათვალთვებენ.

- რას ათვალთვებენ?
- ზღვას, გემებს, კოპწია სახლებს, ლამაზ სასტუმროებს, შადრევნებს, მაღალ მთებს...
- კიდევ?
- ზღვაზე თოლიები დაფრინავენ, ქალაქის მოედნებზე უამრავი მტრედი ღუღუნებს, დამსვენებლები თოლიებს აპურებენ, მტრედებს მზესუმირით უმასპინძლებიან, ბოტანიკურ ბაღში შედიან, ზოგი ნაგზე ან წყლის ველსიპედზე ჯდებიან და შუა ზღვაში გადის... ადამიანები სანაპიროზე ფოტოებს იღებენ, მერე კაფეებსა და ბარებში სხდებიან, გემრიელ ნაყინს მიირთმევენ, ყავას სვამენ და ცივი კოქტილით გრილდებიან.

- აუ, ნაყინი მე ძალიან მიყვარს. აი, ის, ხო იცი, მარწყვის გემო რო აქვს და კიდევ შოკოლადის.
- ვიცი, ვიცი.
- ბაბუ, სოსუმში მტრედებს არავინ იჭერს?
- ოჰ, არა, მტრედს იქ არავინ იჭერს!
- არც თოლიას?
- არა, არც თოლიას.
- მაწანწალა ძაღლებს?
- არიან ადამიანები, რომლებიც მაწანწალა ძაღლებს უვლიან. ვის როგორ შეუძლია, ხან რას აჭმევენ და ხან რას.
- ისინი ცოდონი არიან, ხო?
- სახლი მაგათ არა აქვთ და პატრონიც არ ჰყვები... ცოდონი როგორ არ არიან.

- პაუზა.
- ბაბუ, ჩვენს ძაღლს სოსუმში ვინ უვლის?
- ჩვენი ჯეკა ისეთი ყოჩაღია, თავს არ დაიკარგავს.
- წვიმა როცა წამოვა, სად უნდა დაიძალოს?
- თავის სახლში.
- მაგარი სახლი აქვს?
- კი, ხის სახლი აქვს, მაგარი, პატარა, მწვანე სახლი... ჩემი ხელით ავუსენე.
- ნეტა, ახლა სოსუმში თუ წვიმს?
- შეიძლება წვიმს კიდევ.
- ვითომ ცოტას იწვიმებს თუ ბევრს?
- შენ ნუ ლეღავ, იქ ხშირად წვიმს ხოლმე, მაგრამ ისე ლამაზად წვიმს, თავი ზღაპარში გეგონება... წვიმა თავს კი არ გაბეზრებს, გეთამაშება, შენთან განშორება ეძნელება, გეალერსება... გამოიდარებს და მოგენატრება.

- კიდევ, ბაბუ, კიდევ რა არის სოსუმში?
- უღამაზესი ტბები, ზღაპრული გამოქვაბულები და უძველესი ეკლესიები, ქვები, საუკუნეები რომ გამოუვიდათ... კიდევ ჯადოსნური მაგნოლიები და ზღვაში მოცურავე იალქნიანი ნაგები.
- მაგნოლია რა არის?
- დიდრონი ხეა, თეთრი და სურნელოვანი ყვავილის ხე... ამ ყვავილს ჯადოსნური ძალა აქვს, ბაბუ.
- როგორ ჯადოსნური?
- მაგნოლიები აბაბუს ჰყვებიან.
- ე, რა აბაბებს?
- აბაბებს ჩაძირულ ქალაქზე და ზღვის ასულებზე, რომლებიც ტალღებზე დარბიან

- და ცეკვავენ; კიდევ გემებზე და კაბიტნებზე; აბაბებს ქვიშის სასახლეებზე და ჯარისკაცებზე, ოდესღაც ზღვისპირა ქალაქს გმირულად რომ იცავდნენ.

- მაგნოლიები აბაბებს როგორ ჰყვებიან, განა ლაპარაკი იციან?

- თუ გულით მოუსმენ, მაშინ მაგნოლიების ხმაც გაიგებ... ნიავეით მოვახლოვდება, ცხვირზე მოვიდინებს, თმაზე ხელს გადავისვამს, სახეზე სულს შეგებერავს და თუ მოეწონე, თუ დარწმუნდა, რომ შენც მოიხიბლე, აბაბებსაც მერე მოგიყვება.

- მითხარი, ბაბუ, შენ რა აბაბი მოგიყვია მაგნოლიამ, გეხვეწები რა.

- იყო და არა იყო რა. ზღვისპირა ქალაქში ერთი პატარა, ცელქი ბიჭუნა ცხოვრობდა. ერთხელ, ზაფხულში, მამამ ეს ბიჭუნა ზღვაზე წაიყვანა, უნდოდა შეიღისთვის ცურვა ესწავლებინა. სანაპიროზე ძალიან ბევრი ხალხი იყო, ზოგი ზღვაში ცურავდა, ზოგიც ქვიშაზე მშვიდად იწვა და ირუჯებოდა. ბავშვები კენტებსა და ნიჟარებს აგროვებდნენ, ქვიშის სასახლეებს აშენებდნენ, მოზრდილები ხელბურთს თამაშობდნენ, ადამიანები ერთმანეთს ეძახდნენ, ხუმრობდნენ და მხიარულობდნენ. ბიჭუნა, რომელიც ძალიან ცელქი იყო, ახლა ჩუმად იჯდა კენტებზე და გაფართოებული თვალებით ზღვას გაჰყურებდა. მზე ისე ღაღაღ ანათებდა, რომ ზღვა აღტაცებას ვეღარ მაღავდა, ძალიან ბრწყინავდა... ზოგჯერ ჯადოსნურ ნაპერწკლებსაც ისროდა მაღლა, ჰაერში, იქ, სადაც თოლიები თავისუფლად დაფრინავდნენ. ბიჭუნას მოეხვენა, თითქოს ზღვიდან ოქროს თევზები ხტოდნენ, თევზები და დელფინები... ისინი თოლიებთან ერთად ცაში კამარას კრავდნენ, ბრწყინავდა ხახუბს ავლებდნენ, ფერად სახლებს ხატავდნენ, დედოფლებს და მეფეებს, ქირაფებსა და ცხენებს, სპილოებსა და ღომებს, უფლისწულებსაც ხატავდნენ და ჭირვეულ პრინცესებს... იცინოდნენ და ხატავდნენ... ირგვლივ სულ, სულ ჯადოსნური ნაპერწკლები ცვიოდა! კალიასავით მოხტუნავე ნაპერწკლები ბიჭუნას თავზე დატრიალდნენ, პაწია ხელისუფლებზე ჩამოუსდნენ და ტბილად და ნაზად ამდურდნენ! ბიჭუნა გაოცებისგან ხმას ვეღარ იღებდა. რატომღაც ძალიან მოუნდა ეს ყველაფერი დედიკოსთვის ეჩვენებინა, დედიკოსთვის და მეგობრებისთვის. სახლში მოუნდა. იქვე გადაწყვიტა რამდენიმე ნაპერწკალი დაეჭირა, მაგრამ როგორც კი ეს დააპირა, ნაპერწკლები ბიჭუნას უმალ გამოდნენ. პატარა ბიჭს ცრემლები მოაწვა; ტუნები აუკანკალდა; ძალიან გაბრაზდა: თოლიები, ოქროს თევზები და დელფინები სადღაც შორს გაუნინარდნენ... ბიჭუნამ კარგად დაინახა, რომ ზღვა უზარმაზარი და საშიში გახდა, თითქოს ურჩხულს დაემსგავსა; ძალიან შეშინდა და როცა მამამ ხელი ჩააკვია რომ ზღვისკენ წაეყვანა, ხმამაღლა ატირდა. იმ დღეს მამას აღარ შეუყვანია შვილი ზღვაში... როცა გაიხარდა, ბიჭუნამ ცურვა თავისით ისწავლა და ბოლოს სახელოვანი მეზღვაურიც გახდა.

- (ხელეწიფს შემოიხვევს ბაბუს და თავს მხარზე დაადებს) ნეტა, მაგნოლიები აბაბებს მეც მომიყვებიან?

- თუ მთელი გულით მოუსმენ, მოგიყვებიან.

- რას მომიყვებიან, როგორ მაინტერესებს!

- ბევრ საოცარ ამბავს.

**პაუზა**

- ბაბუ, სოსუმში საით არის?

- იქით, დასავლეთისკენ.

- შორსაა დასავლეთი?

- არა, აქვეა, ახლოს.

- (შორს სივრცეს გახედავს) ძალიან მინდა სოსუმში, ჯეკასთან მინდა, ჩვენს სახლში... მაგნოლიებთან მინდა, ზღვაც მინდა ძალიან, სულ ძალიან.

(ხელ-ხელა ავანსცენაზე გამოდის)

- მე ცურვასაც ვისწავლი, ბაბუ!

- მჯერა შენი!

- იცი რა, დედიკო და მამიკო სახლში რო არ არიან, მეშინია შენც არ დამტოვო.

მარტო ყოფნა არ მინდა. უჩემოდ ხომ არსად წახვალ?

- ეგ რამ გავფიქრებინა, უშენოდ სად უნდა წავიდე? შენ ჩემი ვაჟაკი ხარ, ბაბუ, ჩემი იმედი!
- მაგნოლიების აბაბებს კიდევ მომიყვები?
- მოგიყვები, შენ თავს გეფიცები, ყოველდღე მოგიყვები.

**„მაგნოლიები აბაბებს ჰყვებიან“** – ასე ჰქვია დრამატურგ ოთარ პერტახიას მინი-პიესას, რომელიც 2005 წელს დაიწერა და იმავე წელს წარმატებით დაიდგა თეატრში „ვერიკო“ და მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე). პიესა აფხაზეთის თემის ეძღვნება და სცენაზე დადგმისთანავე მიიქცია თეატრის მაყურებელთა და კრიტიკოსთა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის პრობლემის განსხვავებული კუთხით წარმოდგენის გამო. აღნიშნულმა ნაწარმოებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ინტერნეტ-მეთხველებშიც.

ხელოვნებათმცოდნე **ლელა ოზაშვილი** გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ თავის ვრცელ რეცენზიაში საქტაქტის „მაგნოლიები აბაბებს ჰყვებიან“ შესახებ წერს: „საქტაქტი, რომელიც გიორგი სიხარულიძემ დადგა, ორი ადამიანის – პაპასა და შვილიშვილის დიალოგზეა აგებული პიესაში საუბარი აწმყოში მიმდინარეობს. მოხუცი არცერთ ფრაზას წარსულში არ ამბობს. მოხუცისთვის სოსუმში რეალობაა, ნათელი და ბედნიერებით აღსავსე. ამავე დროს, აწმყოში გადმოტანილი მოგონებების მიღმა დიდი ტკივილი და სევდა იგრძნობა (ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომელ დროში არსებობს აფხაზეთი, ჯერჯერობით, საქართველოსთვის). შეიძლება სწორედ ასეთი დამოკიდებულება, საკითხის ასე დაყენება კიდევ უფრო ამაფრებს მოვლენის ტრაგიზმს და ამავე დროს, იმედის, სინათლისა და რწმენის მომტანია. „მაგნოლიები აბაბებს ჰყვებიან“ ერთგვარი, საქტაქტი-აქტია, საქტაქტი-მოწოდება, საქტაქტი-იმედი, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დრამატურგისა და რეჟისორის მოქალაქეობრივი და პიროვნული პოზიცია, დამოკიდებულება არსებული პრობლემის მიმართ. მათთვის აფხაზეთი არაა ის, რაც იყო, არამედ ის, რაც არის; გვაქვს და არა გვექნება, ვართ და არა ვიყავით. ოთარ პერტახია თავისი პიესის გმირების მსგავსად, სოსუმელია. რაც პიესაში ხდება და რაც მის ტექსტს მიღმა იგულისხმება, ეს დრამატურგის მიერ დანახული აფხაზეთი და პრობლემის მოგვარების მისეული გზაა – აფხაზეთი მისთვის აწმყოშია და არა წარსულში, რეალობისა და წარმოსახვის ზღვარზე არსებობს და რა თქმა უნდა, არსებობს მომავალშიც“ (2005 წელი).

მწერალი და კინორეჟისორი **ერლომ ახმელაძე** აბაბებს „მაგნოლიები აბაბებს ჰყვებიან“ ნახვის შემდეგ ურნალისტიკისთვის მიცემულ საგაზეთო ინტერვიუში ამბობს: „აფხაზეთთან საუკეთესო წლები მაკავშირებს. იგი ჩემი კუთხეცაა და მეც დამეყარვა. დღევანდელმა სადამომ ეს კიდევ ერთხელ მაგრძობინა. მეამაყება, რომ პიესის ავტორი – ოთარ პერტახია ჩემი ნამოსწავარია. იცით, რა ფრაზა მომეწონა საქტაქტიში? „მე ცურვასაც ვისწავლი, ბაბუ.“ აქ ის კი არ არის საინტერესო, ისწავლის თუ არა პატარა ბიჭუნა ცურვას. მთავარია, რომ მას იმედში უკვე ძნელად შეეცდებოდა ვინმე. პიესის დინამიკა ფაქიზია, ღრმა და უხმაურო. ფიქრობ, რომ ადამიანი სინთეზში და მეზღვრობაში ჯანმრთელდება. საზოგადოებას ყველაზე მეტად დღეს ამის დევნიცტი აქვს.“

8 ოქტომბრის არჩევნებიდან ორი კვირის თავზე ეროვნული უშიშროების საბჭომ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს!



ფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი სერიოზული დაწესებულება ჩანს, ხომ? საიდუმლო ინფორმაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა და ა.შ. ასეთ აპარატს ვინმე ნდობით აღჭურვილმა და დარწმუნებულმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს, არა? მისმა არც წარსულმა და არც ახლანდელმა საქმიანობამ არავითარი ეჭვი არ უნდა აღგვიძრავს, ხომ? ამაზე, იმედია, ვთანხმდებით, მაგრამ გაირკვა, რომ "ოცნებაში" ასე არ ფიქრობენ. ბევრი სჯაბასის შემდეგ კაი ალპინისტი კაცი მონახეს და ეს თანამდებობა უბოძეს. დიას, პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებით, რაქვიაშვილი კარგი ალპინისტი და ეს მის პიროვნებაზე ბევრს გვეუბნება. ალბათ, ვინც კალაძე დანიშნა ენერჯეტიკის მინისტრად, ის დაიხმარეს შერჩევის პროცესში.

ახლა მეორე განმარტება - ვინ არის ეს რაქვიაშვილი?

ერთ-ერთი ცნობა, რომელიც შემხვდა, 2011 წელს პრეზიდენტისადმი მიწერილ ღია წერილშია, სადაც უსამართლობით შეწყობილი მხარის მიერ დავით რაქვიაშვილი მოხსენიებულია შემდეგნაირად:

"ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ კანონიერების აღდგენის მიზნით მიგმართეთ სასამართლოს, მათ კი - საბუთების გაყალბებას, რაშიც მათ ეხმარება საჯარო რეესტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელი დავით რაქვიაშვილი".

აქ საქმე კანონიერი მფლობელისათვის ქონების არაკანონიერად ჩამორთმევასა და გამოსახლებას ეხებოდა და 2004 წლის ისტორია აღწერილი.

როგორც ირკვევა, რაქვიაშვილი შევარდნაძის მთავრობაშიც იყო და სააკაშვილის ნაგვიც გადაბრძანდა, სადაც საბუთების გაყალბებას მიჰყო ხელი. უშიშროების საბჭოს მდივნობის შესაფერისი კანდიდატი ჩანს ხომ? ყოფილი "ნაშვარდნაძელი" ცოტა ხანში სააკაშვილის მთავრობაში ვიხილეთ. 2008-2010 წლებში იყო რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. 2010-2013 წლებში - საქართველოს დესპანი აშშ-ში.

დაგტოვოთ ეს რაქვიაშვილი, სადაც არის, და ისევ "ოცნებას" მიუბრუნდეთ. ხალხი შეიძლება ერთხელ

მოატყუოთ, მაგრამ ერთი და იმავე ტყუილის გამეორება უსინდისობის ახალი საფეხურია. ორი წელია, ამომრჩეველთა მხარდაჭერას იმით მოიპოვებენ, რომ წინასაარჩევნოდ ადამიანებს ჰპირდებიან: საბოლოოდ აღვეკვეთთ "ნაცმოდრობის" გადმონაშთებს, ამოვიძრკვავთ, დავასამარებთ და ასე შემდეგ. მაგრამ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან ორ კვირის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელ მოხელეს ჩააბარეს ისეთი მნიშვნელოვანი პოსტი, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოა.

"ნაცმოდრობისა" და "ქართული ოცნების" წარმომადგენელთა დებატებისას ყველა "მეოცნებე" გულში ცეცხლანთებულ მშურისმაძიებელით ლაპარაკობდა. იმ მომენტში, ალბათ, თვითონაც სჯეროდათ საკუთარი თავის. კახა კალაძის ნათქვამი მახსენდება "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის მიმართ: "სარკეში ჩაიხედეთ და საკუთარ თავს შეხედეთ, რას დამსგავსებთ!"

ბატონო კახა, ახლა თქვენ და თქვენმა გუნდმა ჩაიხედეთ სარკეში და ნახეთ, რას დამსგავსებთ!

სისულელეებს აპეთებს "ოცნება", ხალხს ნაცარს აყრის თვალში და შემდეგ ამ საშტციელზე პალიან ინტელექტუალი პრეზიდენტი გამოდის და ისე ლაპარაკობს, ვითომც არაფერი. ნამდვილი ცირკია!

უკვე მერამდენე ნაციონალია სააკაშვილისმგებლო პოსტზე? როდის უნდა შეწყდეს ეს ყველაფერი? საქმე იქით მიდის, რომ, თუ "ნაციონალური მოძრაობის" მოშორება გეინდა ქართული პოლიტიკიდან, ჯერ "ქართული ოცნება" უნდა მოვიშოროთ. სწორედ ისინი ამარაგებენ დღეს მთავრობას ყოფილი, მსხვილ-მსხვილი ნაციონალებით...

არჩევნები დასრულდა და დადგა დრო, ყველა პოლიტიკოსი თავის ტყავში დაბრუნდეს. აღარავინ გამოვა და გაეცნობა ხალხის პრობლემებს, აღარც კრავის თვალებით დაიწყებენ თავიანთი უმწიკვლობის მტკიცებას სატელევიზიო ეთერში. და, მთავარი - აღარც "ოცნება" დაიწყებს ლაპარაკს, რა საზიზღრები არიან ნაციონალები და ხელახლა დაპროგრამდებიან კოაბიტაციაზე.

გახსოვთ, რა გვესმოდა მთელი წინასარჩევნო კამპანიის განმავლობაში "ქართული ოცნებისგან" და კონკრეტულად ივანიშვილისგან? - "ცხრა წელი", "ცოცხები", "ესენი არ უნდა დავაბრუნოთ", "უნდა დავასამართოთ"... მოკლედ, "ნაცმოდრობაზე" უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე საკუთარ თავზე. ხალხს ყოველ წამს ასეუბებდნენ, როგორი უნამუსო, უსირცხვილო, ტირანი და სისხლისმსმელია თითოეული ნაცი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სერიოზულად კი გადაიღეს, მაგრამ, ალბათ, არ იციან,

სიტყვას რომ იტყვი, უკან ვეღარ წაიღებ.

დამთავრდა არჩევნები. გაიმარჯვა "ოცნებამ". ხალხს უხარია, ზოგს ისიც კი სჯერა, რომ ნაცები მართლა დაასამარეს და საბოლოოდ მოიშორეს თავიდან. თარხან-მოურავ-ინაშვილიც კი შევიდნენ პარლამენტში. თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უცებ მოწმენდილ ცაზე მესი ვარდება და იმ პარტიისა და პირადად იმ კაცის მიერ "დასმული" პრეზიდენტი ამბობს, რომ დავით რაქვიაშვილი ხდება უშიშროების საბჭოს მდივანი. მოკლედ, ვინც არ იცის, მათთვის ორ რამეს განემარტავ:

პირველი - "ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი" არის საიდუმლო ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული მნიშვნელობისა და რეჟიმის დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის ინ-

ზაზა გაბუნია: ანტიინფორმაციული კოალიციის ვეზით!

"ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაზა გაბუნიამ "palitrnews"-ის გადაცემაში "360 გრადუსში" განაცხადა, რომ ისინი აქტიურად იმუშავენ, რომ "ნაციონალური მოძრაობა" აღარ იყოს ქართული პოლიტიკის აქტუალური თემა.

გაბუნიას განცხადებით, სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად ანტიინფორმაციული კოალიციას ქმნის, რომელიც საზოგადოებას ყოფილი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს და დანაშაულებრივ ქმედებებს შეასხენებს.

მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არ აკონკრეტებს, რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები უერთდებიან აღნიშნულ კოალიციას, თუმცა აცხადებს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ გაერთიანება ერთსულოვნად მოხდება.

"ჩვენ ვქმნით ანტიინფორმაციული კოალიციას", რადგან არ გვსურს 28-ე მანდატი ამ პარტიას დავეთმოთ, საზოგადოება ამისთვის მობილიზებულია და ჩვენ ამისთვის ვმუშაობთ. ამ ყველაფერში თავიანთი წვლილი შეაქვთ იმ კანდიდატებსაც, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნების პირველ ტურში. ჩვენ ვიმუშავეთ აქტიურად, რომ "ნაციონალური მოძრაობა" აღარ იყოს ქართული პოლიტიკის აქტუალური თემა. მე შემიძლია დაგიდასტურ-

ოთ, რომ სხვადასხვა პარტიის უკვე ყოფილი კანდიდატების მხრიდან თემქასა და ნაძალადეგში არის ერთსულოვნება "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ.

მე არ ვაპირებ შევეგუო იმ 26%-ს რომელიც "ნაციონალურ მოძრაობას" აქვს. ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა ავუხსნათ საზოგადოებას, თუ რას აკეთებენ, როდესაც ზაზავენ 5 ნომერს, ვინ არიან ეს ადამიანები და რა მოუტანეს ქვეყანას", - განაცხადა ზაზა გაბუნიამ.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ანტიინფორმაციული კამპანიაში გაწევრიანებას პარტია "თავისუფალი დემოკრატების" წევრებიც გვემავენ, თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციას ზაზა გაბუნია არც ადასტურებს და არც უარყოფს.

"სჯობს დაველოდოთ დაგეგმილ ბრიფინგს, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართება. ზოგადად, შემიძლია ვთქვა, რომ თემქასა და სანზონაში ვქმნით ერთგვარ კოალიციას, რომელსაც სხვადასხვა პარტიის კანდიდატები, შტაბი და რაც მთავარია მოქალაქეები უერთდებიან", - აღნიშნა გაბუნიამ.

რაც კარგია კარგია, მაგრამ ბატონი ზაზა გაბუნიას ეს ინიციატივა დაგვიანებულად მიგვაჩნია. ავადსახსენებელი "ნაციონალების" მარგინალიზაცია ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა მომხდარიყო და მაშინ ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა, რომ გადათივლ დაშნაკებს ხმების 26 პროცენტი მიეღო!

ის პრობლემა აუსილვლად უნდა მოგვარდეს

...შეგაძინე, რომ ზოგიერთი საინფორმაციული სააგენტო ინტენსიურად ავრცელებს ბოროლად ნაცხროველების და მათ შორის ჩვენი (მეგრულთა) თვითგამოცხადებული რძალის ანუ "ცერეუშნიცა" ფონო უფშვიტინიას (სანდრა რულვოსის) პოსტ-საარჩევნო განცხადებებს... თავისთავად გასაგებია, რომ "ოქსალისტებიც" და ის გადათივლი დედაკაციც არაადექვატურ განცხადებებს პერმანენტულად აკეთებენ, მაგრამ, აი, მედიის ზოგიერთ საშუალებას რაც შეეხება - მათ საქმიანობაში აშკარად შეიმჩნევა გამწარება და ისტერია!.. ატეხილი აქვთ წიოკი და ღამის საყოველთაო გლოვაც კი გამოაცხადონ ე.წ. შტბის საპარლამენტო არჩევნებში ვითომდა გამარჯვების, მაგრამ, "ჭორვილარისტების" მხრიდან ამ "გამარჯვების" ვითომდა მოპარვის გამო და ა.შ. და ა.შ...

ახლა, რატომ ვახდენ ამაზე აქცენტირებას:

ჩემი დაკვირვებით (ალბათ სხვებისაც...) ინფორმაციის, უფრო სწორედ, დეზინფორმაციის ეს საშუალებები თითქმის 100%-იანი ალბათობით პრო-"მიშისტური", პრო-"უფშვიტინისტურია"... აშკარაა, რომ ჩვენი ხალხის ფსიქოინტერებაშიც მედიის უსინდისო წარმომადგენლებს თავისი წილი ბრალი აქვთ და ისიც აშკარაა, რომ ეს წილი არცთუ უმნიშვნელოა... ღრმად მწამს: ვერ მოახერხებდა ნაცბანდა, ვერაფრით ვერ მოახერხებდა

შლევი სააკაშვილი ჩვენი მრავალჭირნახული ხალხის ერთი ნაწილის "დაბოლებას", რომ არა ზოგიერთი ვაიურნალისტის ამზრუნეი, გულსამრევი სულგაყიდულობა! დიას, ამ ქვეყნის უბედურებაში უდავოდ დიდია ე.წ. მესამე ხელისუფლების ბრალი! სამწუხაროა, რომ მასმედიის ბევრი წარმომადგენელი მზად არის პირადი გამორჩენისთვის ნებისმიერ საზიზღრობას მოაწეროს ხელი! სწორედ, ამით სარგებლობენ ანტიეროვნული პოლიტიკური ძალები და მათი მეშვეობით მიზანმიმართულად ახორციელებენ ქართველი ერის ზომბირებას! ასე რომ, მედიის ერთი ნაწილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უკვე წარმომადგენს უადრეგლად დღე საშიშროებას და აუცილებელია მისი განეიტრალება! არ ვიცი, ამ ეტაპზე როგორ უნდა მოხერხდეს ეს, მაგრამ დემერტმა ჰქნას და თუ მოხერხდა ხელისუფლებაში ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული ძალების მოხვლა - ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს! აუცილებლად უნდა იქნას გამოზრდილი და სტიმულირებული პატიოსანი, ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული ჟურნალისტების ახალი თაობა! დიას, ეს არის აუცილებელი, რადგან ეს ისევ და ისევ ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული ინტერესებია!..

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

# პირველი ოლიმპიური ოქრო 44 წლის წინ



ფუტკრის სკასავით მოხუხუნე „ბასკეტბალ პალე“ წამით გაშეშდა. ასეთ სასწაულს არავინ ელოდა. მერე ისევ იხეველა და მქუხარე ტაშით შეეგება ლეგენდის დაბადებას. ეს მოხდა 1972 წლის პირველ სექტემბერს მიუნხენში.

ახალგაზრდა ფალავანმა შოთა ჩოჩიშვილმა ქართული „ბრუნით“ ისე დაანარცხა ტანამზე ორგანოს მსოფლიოს ჩემპიონი ფუმოი სასახარა, რომ წამოდგომა გაუჭირდა. არადა, ხუთიოდე წუთით ადრე, სარბიელზე გასვლის წინ, ფოტოკურნალისტი სახეგაბადრულ იაპონელს ეხვეოდნენ, რათა დროულად მიეწოდებინათ თანვანით გამოცემებისთვის ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონის სურათები.

ქვემძიმის მხარე წრეში შოთა ჩოჩიშვილის სასახარა რომ შეხვდა, საბჭოთა კავშირის ძიუდოსტთა ნაკრების შემოკრებილ მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ ანდრეევს კოლეგებისთვის უთქვამს „რად მინცდამინც სასახარა?!“

„მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე კისრის არეში ტრავმა მივიღე და მხრის ქვეშა კუნთები ისე დამეჭიმა, რომ გერმანიაში ჩემი გამგზავრება ექიმებმა სათუოდ მიიჩნიეს. – იგონებს შოთა ჩოჩიშვილი. – ერთადერთი ვლადიმერ ანდრეევი იყო შეუვალე – ოქიდავებ და ჩემპიონიც გახდებო, მითხრა.“

1962 წელს ანზორ კიკნაძემაც მიიღო ტრავმა, ორი კვირის შემდეგ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მიუნხენის ოლიმპიადამდე კი შენი ჯერიაო. ისე იყო დარწმუნებული ჩემს გამარჯვებაში, რომ მეც გამამხნევა, რწმენა და ენერჯია შემმატა. მართალია, ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ იაპონელ ძიუდოსტთა შიში არ მქონია. თუმცა მათზე ლეგენდები დაიძვინა.

ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებთან ქართველი ფალავანის ნაცნობობა ოლიმპიადამდე ორი წლით ადრე დაიწყო, ჯერ ინგლისში, სადაც საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა, მერე კი პოლონეთში ნაკამურას 32 წამში სძლია და იქაც კარცხლებების უმადლებს საფეხურზე ავიდა. მიუნხენში სასახარასთან შეხვედრამდე ჩოჩიშვილმა ერთგვარი მთელეჯვ ვერ მოასწრო, რადგან პირველ წრეში კორეული ჩოი ღუ იუნგი არ გამოუცხადდა.

სამაგიეროდ, მომდევნო წრეში იაპონელის უძლეველობის მითი (სასახარა მანამდე მოწინააღმდეგეებთან ორთაბრძოლებში ქულაც არ მქონია და კარგული) მინც დასამარა და თავად შეუდგა ოლიმპისკენ მიმავალ გზას. მესამე წრეში ინგლისელი დევიდ სტარბურუი გადადგომა ბრიტანელი სპორტსმენი ლეგენდის მძლეველთან დია პაქერობას მოერიდა, თავად არ ჰქვიადა და მოთასაც არ აძლევდა ამის საშუალებას. ქვესტუთიანი ძიუდოსტთა უმადეოდ დამთავრდა. ხუთიდან სამა არბიტრმა სტარბურუს მისცა უპირატესობა.

კიდევ კარგი, რომ ინგლისელი ნახევარფინალში გავიდა და ჩოჩიშვილი დამამშვიდებელ ჯგუფში გაიყვლია, სადაც ჩვენებურმა წუთსა და 37 წამში სძლია ფრანგ პიერ ალბერტინის, ორწუთ-ნახევარში დაამარცხა ამერიკელი ჯიქს უოლი, სამოცდახუთი წამი მონადრომ აღრიალეს უნი „ბასკეტბალ პალეს“ ჩანჩქებას ალექსანდრე კელერს.

მოულოდნელად 50 რეპორტიორის პირისპირ აღმოჩნდი, – მითხრა ბატონმა შოთამ. – ამგვარ სიტუაციაში გამოწვევაზე უარს ხომ არ ვიტყვოდი, ოღონდ ერთი პირობა წამოვყენებ, ძიუდოს წესებით ვიტყვი და ვიტივტივებ. ნავითადად და იოკოპამში დავესწარი პროფესიონალითა ჭიდაობას. ინიკიმ ორი შეხვედრა მოიგო. უამრავი მკურნალები ესწრებოდა, იმის მიუხედავად, რომ ბილეთები 500 დოლარამდე ღირდა. სამი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვივარჯიშე. ორთაბრძოლა 1989 წლის 24 აპრილს გაიმართა.

შეხვედრის წინ მატჩის ორგანიზატორები მოვიდნენ ჩემთან და საუბარში შეპარვით მაგრძობინეს, რომ იაპონელთა კერპის დამარცხება უხერხული იქნებოდა. ასე ვთქვათ, ერთგვარ გარიგებას მთავაზობდნენ. კიდევ კარგი, რომ მაშინ ჩემ გვერდით იდგა ჭიდაობის ლეგენდა ლევან თედიანი. მისი თანდასწრებით ვუთხარი მასპინძლებს „9 აპრილის შემდეგ საქართველოში გლოვაა და ჩემი წაგება მორალურად გაუმართლებელი იქნება-მეთქი“. პრესა და ტელევიზია მართლაც ფართოდ ამუშქება თბილისში დატრიალებულ ტრაგედიათ. მასპინძლებს ხმა არ ამოუღიათ, ცივად გამშორდნენ. შეხვედრა გაიმართა სტადიონზე, სადაც ბეისბოლის მატჩები ეწყობა.

ორთაბრძოლის საყურებლად 54 ათასი გულშემატკივარი მოვიდა. ხუთი სამწუთიანი რაუნდი დაიწინა. ჩოჩიშვილი ძიუდოს, ინიკი კი კეტნის წესებით იბრძოდა, დარტყმაც შეეძლო, მტკივნეული ილეთის ნატრებაც და ჭიდაობაც. ქომაგები აქტიურად უჭერდნენ მხარს თვითონ კერპს. ტრიბუნების გამაყრუებელი ღრიალი შორეულ სივრცეში იკარგებოდა. ტატამზე კი ქანცაბომლეული სპორტსმენები ამდევრული თვალებით შესტკროდნენ ერთმანეთს. მუხუთ რაუნდი ახალი დაწყებული იყო, ჩოჩიშვილმა თავის საყვარელ ილეოზე ბრუნზე მესამედ რომ წამოიკიდა მტრს ბეჭყეებით დააბერტა ტატამზე. მღერი-ალე ტრიბუნები ჩანჩქმდნენ. ინიკიმ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. ეს გამარჯვება იყო, დიდი გამარჯვება ქართული ფეხმეცნიერების...

წაყვები ვაჟა დანელიას სტატიიდან „ახალი მრა ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი დაიწყო“

მოთასის საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ფალავანმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი არ ყოფილა, იოლად სძლია სახელგანთ მტრს. ანდრეევმა და საქართველოს მაშინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძემ თავისი გაიტანეს. ამიტომაც გულში გაკეწლა სასახარასთან დაპირისპირებამ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რადგან მორე წრეში, თუნდაც ოლიმპიური თამაშების ფავორტთან მარცხისთვის, ვინ იცის, რა შარს მოსდებდნენ.

1981 წელს ოლიმპიური ჩემპიონი აქტიური სპორტიდან გააცივდეს, მაგრამ ცხოვრების ჯანსაღი წესისა და თვითი კომონოსთვის არასდროს უღალატა. უტანტამოდ ვერ ძლებდა და სწორედ მიაკითხა დარბაზს, სადაც მისი ვაჟი რამაზი ვარჯიშობდა (მამის ტრადიციების გამგრძელებელმა საერთაშორისო სარბიელზეც ისახელა თავი „ვერუბის ჩემპიონატებზე“ სამჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა). თავდაც ჯანზე გრძობდა თავს, ამიტომ 1989 წელს სიამოვნებით მიიღო პროფესიონალი მოჭიდავის ანტონი ინიკი გამოწვევა, რომელიც მანამდე თვით მუჰამედ ალისაც კი დაუპირისპირდა.

– იაპონელებმა სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში მოგვიპატიეს, სადაც

მეცნიერთა კვლევები ადასტურებენ, რომ ყველასათვის ცნობილი „კოკა-კოლა“ ალკოჰოლზე უფრო მავნებელია ჯანმრთელობისათვის. იგივეს თქმა შეიძლება ნებისმიერ ტბილ, გაზიან სასმელზე: 1 ჭიქა გაზიანი თუ ენერგეტიკული სასმელი მეტ ზიანს აყენებს ორგანიზმს, ვიდრე 100 გრამი არაქა!

**„კოკა-კოლა“** მავნებლობა მასში დიდი რაოდენობით შაქრის შემცველობაშია. იგი ნამდვილი საწამლეოა ორგანიზმისთვის. დიდი და კუჭქვეშა ჯირკვლი რეაგირებენ შაქარზე. ამ დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით ინსულინი, იმატებს სისხლში შაქრის შემცველობა და არტერიული წნევა. გლუკოზა გარდაიქმნება ცხიმის უჯრედებად. 10 ჩაის კოფი შაქარი – ერთ ბოთლში, საწინელებია!

ტბილი გაზიანი სასმელები გამოყენება დიაბეტის და სიმსუქნის განვითარების ძირითადი მიზეზია. ასევე ფოსფორის მკავა, რომელიც შედის „კოკა-კოლას“ შემადგენლობაში, აგროვებს კალციუმს, მაგნიუმს და თუთიას ნაწლაგებში და დანატრებული ტბილი გამოდგენს გარეთ. ძვლები ხდება მყიფე და ადვილად მტვრევადი, ირდევა ნივთიერებათა ცვლა... როდესაც მოგებადობათ ძლიერი წყურვილი, გაისხნეთ ეს სტატია და დალიეთ ერთი ჭიქა წყალი!

**ინტერნეტსაიტი „ამაზი.ბე“**

## ბატონო როლანდ,

უნდა ვაღიარო, რომ გაზეთ „ილორი“ დაბეჭდილი თქვენი წერილი: „მე უკვე 75 წლისა ვარ!“ – აუღელვებლად ვერ წავიკითხე... სურვილი გამიჩნდა განსაკუთრებული ფრაზებით გამოვხმაურებოდი ამ წერილ-აღსარებას, მაგრამ როგორც კი წერა დავიწყე – უმადვე გადავიფიქრე, რადგან მაღალფარდოვან და ზედმეტად გადატყარტულ სიტყვებში ალბათ იკარგება ის, რასაც გულწრფელობა ჰქვია... აი, არაგულწრფელი კი, ნამდვილად არ მსურს ვიყო, მით უფრო, რომ საქმე ეხება ჩვენი სეგზამწარებული ხალხის გამორჩეულ შვილთაგან – ერთერთს, ანუ ადამიანს, რომელსაც ამ საკმაოდ სოლიდურ ასაკშიც როდი სურს მოსვენება და დღემდე ქარქაშში ხმალიაუგებელი – შეურიგებლად, დაუღალავად იბრძვის მამულის გასაპარტახებლად მოძალბებულ შავნელ ძალთა წინააღმდეგ! მართალია – წარმოუდგენლად ძლიერი და მზაკვარია მტერი!

მართალია – უთანასწოროა ეს შერკინება! მაგრამ, მიუხედავად ამისა, მწამს, რომ თქვენი და თქვენაირი მამულიშვილების ბრძოლა ფუჭი არ იქნება! დიახ, არ იქნება ამაო ეს სულისკვეთება! არ იქნება, რადგან საკრალური და სამართლიანი საქმის აღსრულებისათვის ძალისხმევაში უფლის შემწეობაც არ დააყოვნებს დიდხანს!... ძვირფასო ბატონო როლანდ, მეტს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ბოლოს ესეც მინდა გითხრა: ნამდვილად გაოცებული ვარ თქვენი შეუდრეკელობით! მინდა გისურვოთ ხანგრძლივი და ბედნიერი სიცოცხლე! მინდა იხილოთ, უსათუოდ მალე იხილოთ კოლხა-იბერიის აღორძინება!

მალას ქიითრდანი შურლობა მუ ლაბადეში გოპირუა! ირიათო გომორბევილო ქოსლფედათ!..

პატივისცემით,  
ზურაბ კვარაცხელია,  
ზუგდიდი

## მს უხამი შლის ჩვენს კვლავს! ზოგიერთები მას ყოველდღე სვამენ

მეცნიერთა კვლევები ადასტურებენ, რომ ყველასათვის ცნობილი „კოკა-კოლა“ ალკოჰოლზე უფრო მავნებელია ჯანმრთელობისათვის. იგივეს თქმა შეიძლება ნებისმიერ ტბილ, გაზიან სასმელზე: 1 ჭიქა გაზიანი თუ ენერგეტიკული სასმელი მეტ ზიანს აყენებს ორგანიზმს, ვიდრე 100 გრამი არაქა!

**„კოკა-კოლა“** მავნებლობა მასში დიდი რაოდენობით შაქრის შემცველობაშია. იგი ნამდვილი საწამლეოა ორგანიზმისთვის. დიდი და კუჭქვეშა ჯირკვლი რეაგირებენ შაქარზე. ამ დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით ინსულინი, იმატებს სისხლში შაქრის შემცველობა და არტერიული წნევა. გლუკოზა გარდაიქმნება ცხიმის უჯრედებად. 10 ჩაის კოფი შაქარი – ერთ ბოთლში, საწინელებია!

ტბილი გაზიანი სასმელები გამოყენება დიაბეტის და სიმსუქნის განვითარების ძირითადი მიზეზია. ასევე ფოსფორის მკავა, რომელიც შედის „კოკა-კოლას“ შემადგენლობაში, აგროვებს კალციუმს, მაგნიუმს და თუთიას ნაწლაგებში და დანატრებული ტბილი გამოდგენს გარეთ. ძვლები ხდება მყიფე და ადვილად მტვრევადი, ირდევა ნივთიერებათა ცვლა... როდესაც მოგებადობათ ძლიერი წყურვილი, გაისხნეთ ეს სტატია და დალიეთ ერთი ჭიქა წყალი!

**ინტერნეტსაიტი „ამაზი.ბე“**

**იუმორი**

- მიყვები გუშინ სახლში და ვხედავ – ჩემი ცოლი ვიდაც მეგრულთან კოტრილობს, – ამბობს კაცი.
- რა იცი, რომ მეგრული იყო?
- რაღაც მითხრა მეგრულად.
- მერე, შენ რა უთხარი?
- რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი მეგრული.

\*\*\*

სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად.

- გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.
- პირველი ნახევარი რაღა უყავი? გაუგებრდა სვანს.

\*\*\*

გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:

- ჩემი ქალიშვილი რომ შენი ცოლი გახდება, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ნეხო იატაკი, ამაღლო სადილი, რეცხო თევშე... – მერე, ერთადერთ ქალიშვილს ასეთ იდიოტს ატან?

\*\*\*

- იქ იყავი, ის კაცი შენს სიდედრს რომ სცემდა? – ეკითხება მოსამართლე.
- კი, ჩემი თვალით ვნახე.
- მერე, ვერ მიენმარე?
- რაღა, ორ კაცს გვეცემა ერთი ქალი?

**მარტივი სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუპოვა მრავალი ნაყოფიერი შარბაქი**

**მარილი, რომელმაც მოუპოვა მრავალი ნაყოფიერი შარბაქი**

ლორინტი ბაგინდის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებულ სიმინურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლაგის გაუფრთხილებას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნეროზს, ფსიქიურად დაავადებულებს, კუჭნაგს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, (კუჭ-პატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სასრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას).

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დიდა.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „სანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

<p>ISSN 1987-8966 "ილორი"</p> <p>7 71987 896009</p>	<p>რედაქციის მისამართი:</p> <p><b>თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930</b></p> <p><b>234-32-95</b></p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალალანია</b></p> <p>ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექნიკური 568-01-21-32</p> <p>ბაზეთი ხელმძღვანელოზ თაზისუშალი პრესის პრინციპებით</p> <p>აბტორებს ემისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელწაქნეულები აბტორებს არ უბრუნდებათ.</p> <p>ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).</p>	<p>გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საპინფორმის" გეგვერდზე <a href="http://www.saqinform.ge">www.saqinform.ge</a></p>
---	---	--	--